

**სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სამკერდე ნიშანი და მედალი**

მედალი „საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში უმწიკვლო სამსახურისათვის“

1. პირველი ხარისხი – ჯვრის ფორმის ოქროსფერი მედალიონი. ავერსზე გამოსახულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის ოთხი სიმბოლოს (თამარ მეფის ხელრთვა) ჯვრული კომპოზიცია.

რევერსზე წარწერაა: „სახელმწიფო საზღვრის დაცვაში 20 წელი უმწიკვლო სამსახურისათვის“. ცენტრში ლათინური I ხარისხს აღნიშნავს.

ბაფთა არის მწვანე ფერის, კიდეებზე ორი თეთრი ზოლით.

2. მეორე ხარისხი – ჯვრის ფორმის ვერცხლისფერი მედალიონი. ავერსზე გამოსახულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის ოთხი სიმბოლოს (თამარ მეფის ხელრთვა) ჯვრული კომპოზიცია.

რევერსზე წარწერაა: „სახელმწიფო საზღვრის დაცვაში 15 წელი უმწიკვლო სამსახურისათვის“. ცენტრში ლათინური II ხარისხს აღნიშნავს.

ბაფთა არის მწვანე ფერის, კიდეებზე ორი თეთრი ზოლით.

3. მესამე ხარისხი – ჯვრის ფორმის ბრინჯაოსფერი მედალიონი. ავერსზე გამოსახულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის ოთხი სიმბოლოს (თამარ მეფის ხელრთვა) ჯვრული კომპოზიცია.

რევერსზე წარწერაა: „სახელმწიფო საზღვრის დაცვაში 10 წელი უმწიკვლო სამსახურისათვის“. ცენტრში ლათინური III ხარისხს აღნიშნავს.

ბაფთა არის მწვანე ფერის, კიდეებზე ორი თეთრი ზოლით.



მედალი  
საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში  
უმწიკვლო სამსახურისთვის  
II ხარისხის



მედალი  
საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში  
უმწიკვლო სამსახურისთვის  
I ხარისხის



მედალი  
საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში  
უმწიკვლო სამსახურისთვის  
III ხარისხის



მედალი  
საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში  
უმწიკვლო სამსახურისათვის  
I ხარისხის



მედალი  
საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში  
უმწიკვლო სამსახურისათვის  
II ხარისხის




მედალი  
საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში  
უმწიკვლო სამსახურისათვის  
III ხარისხის

## რეპერსი

### „გიორგი თორელის სახელობის მედალი“

**ავერსი:** მრგვალი ფორმის ოქროსფერ მედალიონზე გამოსახულია აბჯარი (ჯაჭვის პერანგი), ზეაღმართული ხმალი მრგვალი ფარით, რომელზეც არის სახელმწიფო საზღვრის სიმბოლოს გამოსახულება; შვიდი ჯვარი (ბოლნური); ასომთავრული აბრევიატურა – „გთ“ – გიორგი თორელი.

ბაფთა არის თეთრი ფერის, შუაში ფართო მწვანე ზოლით, კიდეებზე ორი შავი ზოლით. რევერსის შუაში გიორგი თორელის (ინიციალები შესრულებულია ასომთავრულით) მედლის გარშემო არის წარწერა: „სახელმწიფო საზღვრის დაცვაში შეტანილი წვლილისათვის“.



საზღვარი



რევერსი

## სამკერდე ნიშანი „სანაპირო დაცვა 1998–2018“

**ავერსი:** ჰერალდიკური ფარი, ლურჯ (ლაჟვარდისფერი) ველზე გამოსახულია ირიბი ვერცხლის ჯვარი, სანაპირო დაცვის დროშა და ემბლემა. ცენტრში ზევიდან ქვევით დაშვებულ ოქროსფერ ღუზაზე განლაგებულია მრგვალი ოქროსფერი ლითონის მედალიონი, მასზე – სასაზღვრო პოლიციის ემბლემა, რომლის გარშემო ლურჯ (ლაჟვარდისფერი) არშიაზე ამოტვიფრულია წარწერა: „სანაპირო დაცვა“ და „1998–2018“.

სამკერდე ნიშნის ზომაა 40–30 მმ-ზე.



## აპერსი

ჯილდოები (ფალერისტიკა)

### სამკერდე ნიშანი „საპატო მესაზღვრე“

**ავერსი:** ოქროსფერი (ბოლნური) ჯვარი მწვანე მინანქრით ფრთებში, ცენტრში – მრგვალი მედალიონი. მწვანე მინანქარზე არის სახელმწიფო საზღვრის ემბლემის ოქროსფერი გამოსახულება, გარშემო შავი მინანქარი წარწერით – „საპატო მესაზღვრე“. მედალიონის ქვევით გამოსახულია ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლებისა და ფრთის კომპოზიცია.

### სამკერდე ნიშანი „ვეტერანი მესაზღვრე“

**ავერსი:** ოქროსფერი შვიდფრთიანი ვარსკვლავი (მალტური ჯვრის ფორმის ფრთა). ცენტრში – მრგვალი მედალიონი, მწვანე მინანქარზე სახელმწიფო საზღვრის ემბლემის ოქროსფერი გამოსახულება, გარშემო შავი მინანქარი წარწერით – „ვეტერანი მესაზღვრე“.

I, II, III თანრიგის სამკერდე ნიშანი

1. ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლებისა და ფრთის კომპოზიციაა. ზემოთ არის ნორმანული ფარი მწვანე ველზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის სიმბოლოს გამოსახულებით. სამკერდე ნიშანს აგვირგვინებს წითელ მინანქარზე ოქროსფერი წარწერა – I, რაც თანრიგის მაჩვენებელია.

2. ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლებისა და ფრთის კომპოზიციაა. ზემოთ არის ნორმანული ფარი მწვანე ველზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის სიმბოლოს გამოსახულებით. სამკერდე ნიშანს აგვირგვინებს წითელ მინანქარზე ოქროსფერი წარწერა – II, რაც თანრიგის მაჩვენებელია.

3. ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლებისა და ფრთის კომპოზიციაა. ზემოთ არის ნორმანული ფარი მწვანე ველზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის სიმბოლოს გამოსახულებით. სამკერდე ნიშანს აგვირგვინებს წითელ მინანქარზე ოქროსფერი წარწერა – III, რაც თანრიგის მაჩვენებელია.

სამკერდე ნიშანი  
„საპატიო მესაზღვრე“



პპრსი

სამკერდე ნიშანი  
„ვეტერანი მესაზღვრე“



პპრსი

სამკერდე ნიშანი  
(ოფიცრებისთვის ოქროსფერი, რიგითებისთვის ვერცხლისფერი).



სამკერდე ნიშანი  
„I თანრიგი“



სამკერდე ნიშანი  
„II თანრიგი“



სამკერდე ნიშანი  
„III თანრიგი“

ს ი მ ა რ უ ლ ი ა



საიუბილეო სამკერდე ნიშანი „სასაზღვრო ავიაცია - 15 წელი“.  
სამკერდე ნიშანი „სასაზღვრო ავიაცია - 15 წელი“ არის ჰერალდიკური ფარი, რომელიც გარედან შემოსაზღვრულია ოქროსფერი ლითონით, შიგნიდან – ცისფერი მინანქრით.

მინანქრითვე კომპოზიციის ცენტრში თეთრ ფონზე გამოსახულია წითელი ცენტრალური ჯვარი (წმინდა გიორგის ჯვარი), მეოთხედებში ირიბი ჯვრის ზღვარზე ოთხი მწვანე (სასაზღვრო პოლიციის სიმბოლური ფერი) სამკუთხედი, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან მოძრაობის სიმბოლოს.

ცენტრის ზემოთ სასაზღვრო ავიაციის რელიეფური ემბლემაა, ხოლო ემბლემის ქვემოთ არის ოქროსფერი ლითონით შესრულებული ასევე რელიეფური წარწერა – „სასაზღვრო ავიაცია - 15 წელი“.

სამკერდე ნიშნის ზომაა 40x30 მმ.

**აპმრსი**



საიუბილეო მედალი „საქართველოს სასაზღვრო ავიაცია -20 წელი“

**ავერსი:** საიუბილეო მედალი „საქართველოს სასაზღვრო ავიაცია -20 წელი“ არის ჰერალდიკური ფარი, რომლის ცენტრში გამოსახულია სასაზღვრო ავიაციის ემბლემა.

ჰერალდიკური ფარი გარედან შემოსაზღვრულია ოქროსფერი არშიით. ცენტრში თეთრ ფონზე გამოსახულია წითელი ცენტრალური ჯვარი (წმინდა გიორგის ჯვარი), მეოთხედებში ირიბი ჯვრის ზღვარზე ოთხი მწვანე (სასაზღვრო პოლიციის სიმბოლური ფერი) სამკუთხედი.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს დროშის ფონზე რელიეფურ ორ ოქროსფერ ფრთას შორის საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ემბლემაა.

მედალი ოქროსფერი ციხე-სიმაგრისანი საკიდითა და ვაზის ორნამენტის დეტალით (საკიდი) უკავშირდება ბაფთას.

მედლის ბაფთა ლივლივა თეთრი ფერისაა, რომელზეც გამოსახულია ერთი წითელი და ორი მწვანე ფერის ზოლი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა თეთრი ფერის ზოლებით.

მედლის თამასაზე თეთრ ველზე ერთი წითელი და ორი მწვანე ზოლია.

**რევერსი:** მედლის ცენტრში ოქროსფერ ველზე ამოტვიფრულია წარწერა – „საქართველოს სასაზღვრო ავიაცია - 20 წელი“.

საიუბილეო მედლის ზომა 36x43 მმ.

ავერსი



რევერსი

